

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2021 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	12
5. ამონაგები.....	15
6. სხვა შემოსავალი	15
7. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	16
8. ძირითადი საშუალებები	17
9. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები.....	18
10. არამატერიალური აქტივები	18
11. გაცემული სესხები	19
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
14. მიღებული სესხები	20
15. საგადასახადო ვალდებულება.....	21
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	22
17. მომხმარებელთა ნაშთები	22
18. პირობითი ვალდებულებები	22
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	23
21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	24

მმართველობის ანგარიშგება	32
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ლიდერ-ბეთ სლოტის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ლიდერ-ბეთ სლოტის (შემდგომში - კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს განმარტებულია მე-11 შენიშვნაში, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიას აქვს გაცემული სესხი 9,961 ათასი ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი აუდიტორული მტკიცებულებები აღნიშნული სესხის გაუფასურებაზე, ასევე შპს ნორვო ენთერპრაიზის მიმართ გაცემული სესხის კომერციულ შინაარსსა და აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების დაანგარიშების შესაბამისობაზე ფასს 9-ის მოთხოვნებთან. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა გაცემულ სესხებში, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალი ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ 2020 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, შესაბამისად, ვერ დავაკვირდით 2020 წელს ჩატარებული ფული და ფულის ეკვივალენტების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ფულის და ფულის ეკვივალენტების ნაშთებზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2,200 ათასი ლარის ოდენობით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ფულსა და ფულის ეკვივალენტებთან დაკავშირებით, და აგრეთვე, ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებში. მოდიფიცირებულია აგრეთვე ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2020 წლის განმავლობაში ონლაინ კაზინოს სლოტ თამაშებიდან მიღებულ 19,229 ათასი ლარის ამონაგებსა და სათამაშო საქმიანობაზე პირდაპირ მიკუთვნებად 19,701 ათასი ლარის ოდენობის ხარჯებზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ამონაგებსა და აგრეთვე, ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებში. მოდიფიცირებულია აგრეთვე ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზეც, ამ საკითხის გავლენის ან შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე პერიოდის ციფრებისა და შესაბამისი ციფრების შესადარისობაზე.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვერდიდან აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მის მომზადებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. როგორც აღწერილია ზემოთ - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება კომპანიის ამონაგების ნაწილისა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შემავალი სალაროს ნაშთების სისწორეზე. შესაბამისად, ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

პირობითი მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზნაცში მოცემული საკითხების შესაძლო ეფექტისა გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

18 ნოემბერი, 2022

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	114,287	88,860
სხვა შემოსავალი	6	3,993	397
თამაშების მომწოდებლის ხარჯები		(24,379)	(19,097)
გადასახადი ტოტალიზატორისა და სხვა აზარტული თამაშების ფსონებზე		(27,151)	(18,684)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(6,860)	(5,840)
ცვეთა და ამორტიზაცია		(964)	(993)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(40,332)	(22,913)
საოპერაციო მოგება		18,594	21,730
წმინდა ფინანსური შემოსავალი		815	453
წმინდა მოგება(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		158	(219)
წმინდა მოგება		19,567	21,964
მოგების გადასახადის ხარჯი	15	(5,721)	(4,352)
მთლიანი სრული მოგება		13,846	17,612

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 18 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ აკაკი შუბითიძე

ბუღალტერი _____ ნანა ნოზაძე

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


(ათას ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	5	114,287	88,860
სხვა შემოსავალი	6	3,993	397
თამაშების მომწოდებლის ხარჯები		(24,379)	(19,097)
გადასახადი ტოტალიზატორისა და სხვა ახარტული		(27,151)	(18,684)
თამაშების ფსონებზე		(6,860)	(5,840)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(964)	(993)
ცვეთა და ამორტიზაცია		(40,332)	(22,913)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7		
საოპერაციო მოგება		18,594	21,730
წმინდა ფინანსური შემოსავალი		815	453
წმინდა მოგება (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		158	(219)
წმინდა მოგება		19,567	21,964
მოგების გადასახადის ხარჯი	15	(5,721)	(4,352)
მთლიანი სრული მოგება		13,846	17,612

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 18 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ბუღალტერი


10-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1,296	1,386
აქტივების გამოყენების უფლება	9	1,845	380
არამატერიალური აქტივები	10	725	555
გაცემული სესხები	11	9,961	150
		13,827	2,471
მოკლევადიანი აქტივები			
სხვა აქტივები		644	104
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	4,177	6,925
გაცემული სესხები	11	-	7,695
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	2,331	5,178
		7,152	19,902
სულ აქტივები		20,979	22,373
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება		2,717	14,505
სულ კაპიტალი		2,717	14,505
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	-	1,500
საიჯარო ვალდებულებები	9	1,427	540
		1,427	2,040
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	1,022	-
საგადასახადო ვალდებულება	15	9,297	1,609
საიჯარო ვალდებულებები	9	503	276
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,620	2,015
მომხმარებელთა ნაშთები	17	2,393	1,928
		16,835	5,828
სულ ვალდებულებები		18,262	7,868
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		20,979	22,373

10-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	<u>გაუნაწილებელი მოგება</u>	<u>სულ</u>
2020 წლის 1 იანვარი	19,561	19,561
დივიდენდები	(22,668)	(22,668)
წლის მთლიანი სრული მოგება	17,612	17,612
2020 წლის 31 დეკემბერი	14,505	14,505
დივიდენდები	(25,634)	(25,634)
წლის მთლიანი სრული მოგება	13,846	13,846
2021 წლის 31 დეკემბერი	2,717	2,717

10-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება დაბეგვრამდე		19,567	21,964
კორექტირებები:			
წმინდა ფინანსური შემოსავალი		(815)	(453)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	7	-	300
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	7, 8	160	635
ცვეთა და ამორტიზაცია	8, 9, 10	964	993
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ზარალი		-	67
საგადასახადო ანარიცხი		6,247	298
იჯარის მოდიფიკაცია	6, 9	(236)	-
წმინდა (მოგება)/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		(158)	219
		25,729	24,023
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
სხვა აქტივები		(540)	106
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		2,748	(4,804)
საგადასახადო ვალდებულება		1,441	489
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		110	(225)
მომხმარებელთა ნაშთები		465	436
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები გადასახადებამდე		29,953	20,025
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,144)	(4,191)
მიღებული პროცენტი	11	107	37
გადახდილი პროცენტი	14	(226)	(263)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი ნაკადები		25,690	15,608
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	8	(562)	(494)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	8	-	3,458
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	10	(257)	(220)
სესხის გაცემა	11	(2,147)	(2,712)
გაცემული სესხების დაფარვა	11	969	718
		(1,997)	750
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობა სესხებიდან	14	1,022	1,900
მიღებული სესხების დაფარვა	14	(1,500)	(1,945)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	9	(378)	(186)
გადახდილი დივიდენდები		(25,634)	(22,668)
		(26,490)	(22,899)
წმინდა შემცირება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(2,797)	(6,541)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		5,178	11,774
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(50)	(55)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		2,331	5,178

10-31 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი (შემდგომში - კომპანია) “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წელს. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისში, საგადასახადო დეპარტამენტის ოფისში შემდეგი საიდენტიფიკაციო კოდით 439397467.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მულტიბრენდული სათამაშო ვებგვერდის (www.lider-bet.com) საქმიანობის წარმართვა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორს, ონლაინ კაზინოს, ონლაინ peer-to-peer და სხვა თამაშებს. კომპანიას აქვს აღებული ლიცენზიები მიწის ტოტალიზატორებისთვის, რომელიც გახსნილია სამტრედიისში, საჩხერესა და თბილისში.

2020 წელს კომპანია ფიზიკურ პირებთან ერთად დააფუძნა შპს ლიდერბეთ პლიუსი (შემდგომში - ასოცირებული, საიდენტიფიკაციო კოდი - 405410292), სადაც ფლობს 20%-იანი წილს. 2021 და 2020 წლების განმავლობაში ასოცირებულს არ განუხორციელებია არსებითი ოპერაციები.

2021 წლის 7 ოქტომბერს კომპანიაში მოხდა წილების ცვლილება. წილები გადანაწილდა შემდეგნაირად : აკაკი შუბითიძე - 30%, ქართლოს დიასამიძე - 40%, ბესიკ ხოკერაშვილი - 30%. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ ჰყავდა. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილს მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო აკაკი შუბითიძე.

კომპანიის იურიდიული მისამართია საბურთალოს რაიონი, ონიაშვილის ქ., N1, თბილისი, საქართველო.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მოლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ახალი სტანდარტების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16)
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16);

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოცემა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);
- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება გადავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალდებულო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

სამართლიანი ღირებულების შეფასება მიზნად ისახავს იმ ფასის მიახლოებას რომელიც მიღებულ იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციებში შეფასების დღისთვის. ამასთან, გაურკვევლობების და სუბიექტური მსჯელობების გამოყენების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებს, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების მოკლე ვადიანობის გამო

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება მეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გაცემული სესხები	9,961	7,845
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,880	4,458
ფული და ფულის ექვივალენტები (სალაროს გარდა)	1,623	2,978
	13,464	15,281

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივები კომპანიისთვის არის სავაჭრო მოთხოვნები. კომპანიის დებიტორები წარმოადგენენ სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც წარმატებით ოპერირებენ ადგილობრივ ბაზარზე, რის გამოც მნიშვნელოვნად მცირდება საკრედიტო რისკი. კომპანიის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებულ საკრედიტო პირობებში მითითებული გადახდის ვადა არასდროს აჭარბებს 30 დღეს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	-	489	533	-	1,022
საიჯარო ვალდებულებები	158	473	1,560	56	2,247
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,620	-	-	-	3,620
მომხმარებელთა ნაშთები	2,393	-	-	-	2,393
	6,171	962	2,093	56	9,282

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	212	636	847	-	1,695
საიჯარო ვალდებულებები	84	251	511	118	964
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,015	-	-	-	2,015
მომხმარებელთა ნაშთები	1,928	-	-	-	1,928
	4,239	887	1,358	118	6,602

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივები და ვალდებულებები.

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	2021
გაცემული სესხები	9,961	-	-	9,961
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,880	-	-	1,880
ფული და ფულის ექვივალენტები	2,301	28	2	2,331
	14,142	28	2	14,172
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო	2021
მიღებული სესხები	1,022	-	-	1,022
საიჯარო ვალდებულებები	1,930	-	-	1,930
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,050	126	444	3,620
მომხმარებელთა ნაშთები	2,393	-	-	2,393
	8,395	126	444	8,965
ღია საბალანსო პოზიცია	5,747	(98)	(442)	5,207

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	2020
გაცემული სესხები	7,845	-	-	7,845
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,458	-	-	4,458
ფული და ფულის ექვივალენტები	5,052	38	88	5,178
	17,355	38	88	17,481
ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო	2020
მიღებული სესხები	1,500	-	-	1,500
საიჯარო ვალდებულებები	816	-	-	816
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,046	-	969	2,015
მომხმარებელთა ნაშთები	1,928	-	-	1,928
	5,290	-	969	6,259
ღია საბალანსო პოზიცია	12,065	38	(881)	11,222

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით ევროს გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას ევროს გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ ევროთი განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს ევროს კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში. ფინანსური ინსტრუმენტების გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე მოცემულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
	(ლარი / დოლარი)	(ლარი / ევრო)	(ლარი / დოლარი)	(ლარი / ევრო)
20% ზრდა	(20)	(88)	8	(176)
20% შემცირება	20	88	(8)	176

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. ამონაგები

	2021	2020
შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან:		
ონლაინ Peer-to-peer თამაშებიდან	3,524	4,993
	3,524	4,993
სხვა შემოსავალი:		
ონლაინ კაზინოს თამაშებიდან	77,271	53,821
ონლაინ ტოტალიზატორიდან	32,854	30,089
მიწის ტოტალიზატორიდან	638	(43)
	110,763	83,867
წმინდა შემოსავალი სათამაშო საქმიანობიდან	114,287	88,860

*წმინდა შემოსავალი სათამაშო საქმიანობიდან წარმოდგენილია კლიენტისთვის შეთავაზებული წამახალისებელი აქციების („ფრისპინი“, „ფრიბეთი“, და ა.შ.), ჯეკპოტებისა და ბონუსების გამოკლებით.

შემოსავლის უდიდესი ნაწილი წარმოიშვება საქართველოში მცხოვრები ონლაინ მომხმარებლებისგან. ბიზნესის ოპერაციების შინაარსიდან გამომდინარე, არ არსებობს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ნაშთები.

6. სხვა შემოსავალი

	2021	2020
სხვა შემოსავალი:		
საკომისიოდან*	3,637	171
იჯარის მოდიფიკაციიდან	236	-
სხვა	121	226
	3,994	397

(*) 2021 წელს მომხმარებელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე კომპანია მოთამაშეს თანხის გატანისას დამატებით უკავებს გატანის საკომისიოს გადარიცხული თანხის 1%-ის ოდენობით.

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021	2020
მომსახურების მომწოდებლის მოსაკრებელი და ბანკის საკომისიოები	(15,316)	(9,782)
მარკეტინგული ხარჯები	(14,388)	(6,652)
ფიქსირებული სათამაშო მოსაკრებლები საგადასახადო ორგანოებისთვის	(3,361)	(2,032)
ჯარიმა და საურავები	(2,856)	(355)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება *	(1,004)	(163)
ქველმოქმედება	(614)	(198)
ინფორმაციული ტექნოლოგიები და პროგრამული მხარდაჭერა	(491)	(549)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(433)	(696)
კომუნიკაცია	(371)	(380)
მოკლევადიანი პროგრამული ლიცენზიები	(334)	(281)
საიჯარო ხარჯი	(213)	(39)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	(160)	(635)
ოფისის ხარჯი	(95)	(146)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	(300)
სხვა	(696)	(705)
	(40,332)	(22,913)

(*) 2021 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიმწოდებლებს დაუდგინა დამატებითი მოთხოვნები კონტროლის ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირების მიზნით. შეიქმნა ერთიანი ელექტრონული ბაზა, სადაც განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც შემოსავლების სამსახურის, ასევე სახელმწიფოსთვის. აღნიშნულმა საკონსულტაციო ხარჯმა მიმდინარე საანგარიშგებო წელს შეადგინა 686 ათასი ლარი.

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

8. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერები, სერვერები და სხვა ტექნიკა	სარეკლამო ბანერები და კონსტრუქციები	მანქანები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2020 წლის 1 იანვარს	3,515	961	1,049	463	317	6,305
შეძენა	-	319	134	18	23	494
გასვლა	(3,515)	-	-	(15)	-	(3,530)
2020 წლის 31 დეკემბერს	-	1,280	1,183	466	340	3,269
შეძენა	-	390	159	-	13	562
2021 წლის 31 დეკემბერს	-	1,670	1,342	466	353	3,831
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
2020 წლის 1 იანვარს	-	(221)	(220)	(119)	(96)	(656)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(223)	(228)	(91)	(55)	(597)
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	5	-	5
გაუფასურება	-	-	(635)	-	-	(635)
2020 წლის 31 დეკემბერს	-	(444)	(1,083)	(205)	(151)	(1,883)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(302)	(38)	(94)	(58)	(492)
გაუფასურება	-	-	(160)	-	-	(160)
2021 წლის 31 დეკემბერს	-	(746)	(1,281)	(299)	(209)	(2,535)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
2020 წლის 31 დეკემბერს	-	836	100	261	189	1,386
2021 წლის 31 დეკემბერს	-	924	61	167	144	1,296

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

9. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებზეც აღიარებულია აქტივის გამოყენების უფლება, მოიცავს საოფისე ფართის, მიწის ტოტალიზატორისა და სერვერის იჯარას. იჯარები მიღებულია მესამე მხარეებისგან. ხელშეკრულების განახლების უფლება დაფუძნებულია არსებულ ბიზნეს პრაქტიკაზე. იჯარების ვადიანობა განსაზღვრულია 4-დან 9 წლამდე. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია აშშ დოლარში. იჯარების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა წლიურ 7%-8%-ს იჯარების ვადიანობის მიხედვით.

აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	380	722
წლის განმავლობაში გაფორმებული საიჯარო კონტრაქტი	1,614	-
მოდIFIკაცია	236	-
ცვეთა	(385)	(342)
ნაშთი წლის ბოლოს	1,845	380

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	816	937
წლის განმავლობაში გაფორმებული საიჯარო კონტრაქტი	1,614	-
საპროცენტო ხარჯი	112	77
საიჯარო გადახდები	(490)	(263)
უცხოური ვალუტის გადაფასება	(122)	65
ნაშთი წლის ბოლოს	1,930	816

10. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	საიტი და პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა	სულ
2020 წლის 1 იანვარს	402	48	450
შემოსვლა	160	60	220
2020 წლის 31 დეკემბერს	562	108	670
შემოსვლა	144	113	257
2021 წლის 31 დეკემბერს	706	221	927
დაგროვილი ამორტიზაცია			
2020 წლის 1 იანვარს	(51)	(10)	(61)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(44)	(10)	(54)
2020 წლის 31 დეკემბერს	(95)	(20)	(115)
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	(63)	(24)	(87)
2021 წლის 31 დეკემბერს	(158)	(44)	(202)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბერს	467	88	555
2021 წლის 31 დეკემბერს	548	177	725

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

11. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გაცემული სესხები	8,488	7,309
დარიცხული პროცენტი	1,930	993
	10,418	8,302
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*	(457)	(457)
	9,961	7,845

*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები დაკავშირებულია ნორვო ენთერპრაიზისთვის გაცემულ სესხთან.

გაცემული სესხები შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	ვალუტა	დასრულების თარიღი	31 დეკემბერი 2021		31 დეკემბერი 2020	
			გაცემული სესხები	დარიცხული პროცენტი	გაცემული სესხები	დარიცხული პროცენტი
შპს კაჭრეთის მშენებლობა	ლარი	31-დეკ-2023	4,147	1,131	4,149	633
შპს ლიდერმშენი	ლარი	31-დეკ-2023	1,841	572	1,840	356
ნორვო ენთერპრაიზიზ	ლარი	31-დეკ-2023	1,173	170	713	-
შპს ხეივანი	ლარი	31-დეკ-2024	470	9	-	-
შპს ლიდერბეთ პლიუსი	ლარი	31-დეკ-2023	350	42	150	4
შპს ლიდერმშენი 2020	ლარი	31-დეკ-2025	50	6	-	-
			8,031	1,930	6,852	993

* ყველა გაცემული სესხის ნომინალური საპროცენტო განაკვეთია 12%.

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები გაცემულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად, ასევე არაფულად ცვლილებებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	7,845	5,472
სესხის გაცემა	2,147	2,712
სესხის დაფარვა	(969)	(718)
პროცენტის გადახდა	(4)	(23)
	9,019	7,443
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	942	702
გაუფასურება	-	(300)
ნაშთი წლის ბოლოს	9,961	7,845

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური მოთხოვნები:		
გადახდის მომსახურების პროვადერების მიმართ	1,780	942
სხვა*	100	3,516
	1,880	4,458
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები:		
ავანსები გადახდის მომსახურების პროვადერების მიმართ	977	2,173
მარკეტინგული მომსახურებისა და სპონსორობისთვის	680	-
სოციალური მედია აპლიკაციის შექმნისთვის	335	-
სხვა	305	294
	2,297	2,467
	4,177	6,925

* 2020 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიამ მოახდინა მიწის რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე, რომლის მოთხოვნაც სრულად დაიფარა 2021 წელს.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფული სალაროში	708	2,200
ფული ბანკში ლარში	1,593	2,852
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	30	126
	2,331	5,178

14. მიღებული სესხები

	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აკაკი შუბითიძე	ლარი	31-დეკ-2024	-	533	
საქართველოს ბანკი 1	ლარი	29-ოქტ-2022	14%	489	
საქართველოს ბანკი 2	ლარი	31-ოქტ-2021	12%	-	1,500
				1,022	1,500

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად, ასევე არაფულად ცვლილებებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2021	2020
ნაშთი წლის დასაწყისში	1,500	1,545
სესხის აღება	1,022	1,900
სესხის დაფარვა	(1,500)	(1,945)
პროცენტის გადახდა	(114)	(186)
	908	1,314
არაფულადი ნაკადები:		
პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	114	186
ნაშთი წლის ბოლოს	1,022	1,500

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

15. საგადასახადო ვალდებულება

ა) გადასახადები

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად, გადასახადების გადახდა ხდება გაერთიანებულ სახაზინო ანგარიშზე. შედეგად, კომპანიის საგადასახადო აქტივი და ვალდებულება 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია წმინდა საფუძველზე.

კომპანიას აქვს სასამართლო დავა საგადასახადო ორგანოებთან 2017-2020 წლების საგადასახადო შემოწმების შედეგებთან დაკავშირებით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული სამართლებრივი დავის მთლიანი ანარიცხი შეადგენს 7,829 ათას ლარს, რომელიც წარდგენილია საგადასახადო ვალდებულების მუხლში. დამატებით ინფორმაცია იხილეთ მე-20 განმარტებით შენიშვნაში.

ანარიცხებში წარმოდგენილი თანხა წარმოადგენს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებას კომპანიის მოსალოდნელი ვალდებულების შესახებ იურისტებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. გაუსაზღვრელობა დაკავშირებულია იმასთან, მოახერხებს თუ არა კომპანია წარმატებით დაიცვას თავისი პოზიცია.

კომპანია მიმოიხილავს მიმდინარე სასამართლო დავებს და მათ განვითარებას ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იმისთვის, რომ შეაფასოს ანარიცხისა და განმარტებების აუცილებლობა ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს გამოყენებული ფაქტორები მოიცავს: სასამართლო დავის ხასიათს, პრეტენზიებსა და შეფასებებს, სასამართლო პროცესებსა და ზიანის პოტენციურ დონეს იმ იურისდიქციაში, სადაც მიმდინარეობს დავა, სასამართლო დავის განვითარებას (მათ შორის განვითარება ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე), იურიდიულ საკითხებში მრჩეველთა მოსაზრებებსა და შეხედულებებს, გამოცდილებას მსგავს სასამართლო დავებზე და კომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას თუ როგორ წარმართავს თავის პოზიციას სასამართლო დავებში.

საგადასახადო ვალდებულება:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
საგადასახადო ვალდებულება ტოტალიზატორის ფსონებზე	4,567	1,259
მარეგულირებლის სანებართვო მოსაკრებლები	584	(624)
სხვა გადასახადები	4,146	974
	9,297	1,609

ბ) დაბეგვრა

კომპანიაზე ვრცელდება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთი ქართული კომპანიებისთვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორიდან საქართველოში სპეციფიურ დაბეგვრის რეჟიმს ექვემდებარება. განაწილებული მოგების დაბეგვრის მაგივრად, ონლაინ ტოტალიზატორის ბრუტო შემოსავალი (ანუ მიღებული ფსონები) იბეგრება. შედეგად, ონლაინ ტოტალიზატორიდან მიღებული მოგების შემდგომი განაწილება არ ექვემდებარება მოგების გადასახადს.

2021 და 2020 წლების განმავლობაში 3,964 ათასი და 3,629 ათასი ლარის ოდენობით მოგების გადასახადი უკავშირდება განაწილებულ მოგებას, რომელიც მიღებულია ონლაინ ტოტალიზატორის გარდა სხვა საქმიანობიდან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრიდან. დეტალური ინფორმაცია საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით იხილეთ მე-20 განმარტებითი შენიშვნა.

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ფინანსური ვალდებულებები		
მომწოდებლების მიმართ	3,032	1,768
სხვა ვალდებულებები	588	247
	3,620	2,015

17. მომხმარებელთა ნაშთები

მომხმარებელთა ნაშთებს მოიცავს ვალდებულებას მოთამაშეების მიმართ. ტოტალიზატორის გაუთამაშებელ ფსონები წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ ფსონებს სპორტის თამაშებზე, რომელთა შედეგებიც წლის ბოლოსთვის ჯერ არ დამდგარა. ამგვარი პოზიციები წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და კომპანიის მიერ თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულია, როგორც მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები. 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუთამაშებელი ფსონები არაარსებობდა.

18. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დაგროვილი მოგების განაწილება ექვემდებარება დაბეგვრას. შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დაგროვილი მოგების მთლიანად განაწილების შემთხვევაში, მოგების გადასახადის ვალდებულება იქნება 480 ათასი ლარი.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარესთან ნაშთი და ტრანზაქციები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	მფლობელები	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება
გაცემული სესხები	-	8,618	-
მიღებული სესხები	-	-	533
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	(176)	-	(109)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		766	-

დაკავშირებულ მხარესთან ნაშთი და ტრანზაქციები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	სხვა დაკავშირებული მხარე	უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება
გაცემული სესხები	7,132	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,516	-
თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	-	(98)
სხვა წმინდა შემოსავალი/(ზარალი)	(13)	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი	680	-

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

სესხების გაცემა - 2022 წლის 18 იანვრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით კომპანიამ დამატებით გასცა დაკავშირებულ მხარესა და იურიდიულ პირებზე 2,240 ათასი ლარის სესხი.

სესხის მიღება - 2022 წლის 13 ივლისს კომპანიამ მიიღო 2 წლიანი სესხი სს საქართველოს ბანკისგან 4,500 ათასი ლარის ოდენობით, საპროცენტო განაკვეთი - 12%.

დივიდენდის გამოცხადება - 2022 წლის 2 თებერვლიდან 2022 წლის 7 ნოემბრამდე კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, გამოცხადდა და განაწილდა დივიდენდები ჯამურად 36,281 ათასი ლარის ოდენობით.

რეგულაციებისა და კანონმდებლობის ცვლილებები - 2022 წელში საქართველოს პარლამენტის ბრძანების მიხედვით განხორციელდა შემდეგი საკანონმდებლო და რეგულაციების ცვლილებები:

ა) "საქართველოს საგადასახადო კოდექსში" ცვლილების მიხედვით სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული თამაშობის წმინდა ამონაგები (GGR) მოგების გადასახადის 10%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ბაზად განისაზღვრა. ასევე მოთამაშის მიერ თანხის განაღდება დაიბეგრება სამემოსავლო გადასახადის 2%-ით. კანონი ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვრიდან.

ბ) "ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" კანონის მიხედვით აიკრძალა 25 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქის ან 18 წლამდე ასაკის უცხო ქვეყნის მოქალაქის, დამოკიდებულ და აკრძალულ პირთა სიაში შეტანილი პირის აზარტული, მომგებიანი თამაშობის მოწყობის ადგილას, მათ შორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტული ან მომგებიან თამაშობაში მონაწილეობა და შესვლა.

აკრძალულ პირთა სია მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციებში, მარეგულირებელ ორგანოებში, საქართველოს ეროვნულ ბანკში დასაქმებულ პირებს და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის წევრებს. აზარტულ თამაშებში მონაწილეობა ასევე ეკრძალებათ დამოკიდებულ პირთა სიაში შეყვანილ პირებს, რომელიც შეიცავს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა მონაცემებს.

კანონი ძალაში შედის 2022 წლის 1 მარტიდან.

გ) "რეკლამის შესახებ" კანონის საფუძველზე შეიზღუდა აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს შესახებ რეკლამის რაიმე ფორმით ან საშუალებით, მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით გავრცელება, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა. კანონი ძალაში შევიდა 2022 წლის 22 იანვრიდან. ამ კანონის გამონაკლისები არის შემდეგი:

- ადგილობრივად ლიცენზირებული აზარტული თამაშების ოპერატორების ვებ-გვერდზე განთავსებული რეკლამები;
- რეკლამა, რომელიც განთავსებულია სპორტული ღონისძიების ჩატარების ადგილზე, გარკვეული პირობებით;
- რეკლამა, რომელიც ვიზუალურად განთავსებულია ორგანიზატორის ე.წ. მიწის ობიექტთან, რომელიც იზღუდება მაქსიმუმ 10 კვ.მ. სარეკლამო სივრცით;
- რეკლამა, რომელიც განთავსებულია საერთაშორისო აეროპორტებსა და სასაზღვრო საბაჟო გამშვებ პუნქტებზე;
- საპრიზო გათამაშებების რეკლამირება ნებადართულია სამორინეების შიდა პერიმეტრში (მაგ. საბუკმეიკერო კანტორები, კაზინოები, სათამაშო აპარატების სალონები).

დ) ქართული გადახდის მომსახურების პროვაიდერები ვალდებული არიან რეზიდენტ ფიზიკურ პირებს შეუზღუდონ უცხოური სათამაშო ბიზნესების სასარგებლოდ ბარათით განხორციელებული ინტერნეტ გადახდები. ასევე ოპერატორებს მოეთხოვებათ ყოველწლიურად გადაამოწმონ მოთამაშეები.

2021 და 2020 წლებში ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე მთლიან მომხმარებლებში კანონით განსაზღვრულ შეზღუდულ პირთა მოთამაშეების ამონაგების (GGR) ხვედრითი წილი მთლიან შემოსავალში შეადგენს დაახლოებით 26% პროცენტს, ხოლო დასაბეგრი ბაზის ცვლილების შედეგად გაიზარდა ყოველთვიური გადასახადი დაახლოებით 28%-ით. ხელმძღვანელობა ცვლილების შესაძლო გავლენის შეფასების პროცესშია და ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ კიდევ აფასებს მათ გავლენას (ან პოტენციური გავლენას) კომპანიის სამომავლო ოპერაციებზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე საკანონმდებლო და რეგულაციების ცვლილებებით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს გავლენა კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე.

საგადასახადო დავა - კომპანიას ჰქონდა აქტიური სასამართლო დავაზე ორი საჩივარი, რომელიც დასრულდა 2022 წლის 21 აპრილსა და 30 ივნისს. კომპანია საგადასახადო ორგანოსგან ჯამურად დაჯარიმდა 8,342 ათასი ლარის ოდენობით.

სასამართლო დავა - 2022 წლის 7 იანვრის სარჩელის მიხედვით, კომპანიას აქვს მიმდინარე სასამართლო დავა ფიზიკურ პირთან EGT სლოტის ყვავის ჯეკპოტის მოგების შესახებ. დავის ღირებულება შეადგენს 4,940 ათას ლარს. დავის შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა არ მოელის მომჩივანის სასარგებლოდ სარჩელის დაკმაყოფილებას.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი სამი კატეგორიიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მენეჯმენტმა განსაზღვრა ბიზნეს მოდელი და კომპანიის მფლობელობაში არსებული ფინანსური აქტივები მიაკუთვნა - „ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით“ კატეგორიას.

ამორტიზებული ღირებულება

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია ფასს 9-ის პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით.

კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით და რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

კომპანია ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

- იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
- პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
- ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია არსებითი რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

აღნიშნული ოპერაციის აღრიცხვისათვის, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კომპანია იყენებს საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდს. საბალანსო ღირებულებით აღრიცხვის მეთოდის მიხედვით, შემძენი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს გადმოცემული საწარმოს საბალანსო ღირებულებების გამოყენებით და არა აქტივების და ვალდებულებების რეალურ ღირებულებამდე აფასებით. გადმოცემის დღის მდგომარეობით სხვაობა გადახდილ საზღაურსა და წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს კაპიტალის ცვლილებით: უნდა მოხდეს გაუნაწილებელი მოგების დაკორექტირება ან განცალკევებული რეზერვის შექმნა. ოპერაციის შედეგად არ ხდება გუდვილის აღიარება.

ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კომპანიის მიერ საბალანსო ღირებულებები განისაზღვრება გადმოცემული საწარმოს ფინანსური ანგარიშგებიდან.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების მთავარი ნაწილის გამოცვლის დროს გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს ძირითადი საშუალების გაუფასურების ინდიკატორებს. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება შემცირებულია მის ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ხარჯი კვლავ შემოსავლად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს შეფასების ცვლილებას, რომლითაც თავდაპირველად განისაზღვრა აქტივის გამოყენების ღირებულება, ან იცვლება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ აქტივის რეალური ღირებულება.

გაყიდვისგან მიღებული სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვის დროს მიღებული შემოსავლისა და აქტივის ჩამოწერილი საბალანსო ღირებულების ურთიერთშედარების შედეგად.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით:

ჯგუფი

მიწა და შენობა-ნაგებობები

კომპიუტერები და სხვა ტექნიკა

სარეკლამო ბანერები და კონსტრუქციები

მანქანები

ავეჯი და სხვა ინვენტარი

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

არ იცვითება

5

5

5

5-13

არამატერიალური აქტივები

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და შეიცავს კომპიუტერულ პროგრამებსა და ლიცენზიებს. კომპიუტერული პროგრამებისა და ლიცენზიების შესყიდვისას კაპიტალიზდება შესყიდვისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისთვის გაწეული ხარჯები. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა შენახვის ხარჯები აღიარდება ხარჯად მისი გაწევისთანავე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივად 6 - 10 საანგარიშგებო წელზე.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდგომარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, იმპორტის გადასახადი და სხვა პირდაპირი დანახარჯები.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

მოგების გადასახადის გარდა გადასახადები აღიარდება მაშინ როცა ადგილი აქვს დასაბეგრ მოვლენას. დასაბეგრი მოვლენა არის მოვლენა რომელიც წარმოშობს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები დაიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ნაზრდი ხარჯების აღიარება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან, ხდება კაპიტალიდან დაქვითვით, ნებისმიერი საგადასახადო თანხების გამოკლებით.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანია შემოსავლებს იღებს გაწეული მომსახურებიდან. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლების მიღების მნიშვნელოვან წყაროებზე წარმოდგენილია ქვემოთ:

Peer-to-peer თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საკომისიო შემოსავალს და ტურნირებში მონაწილეობის საკომისიოს თამაშებიდან, რომლებიც დასრულებული იყო პერიოდის ბოლოს.

ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას.

სხვა შემოსავალი

ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ფსონების საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ამონაგებს ან ზარალს პერიოდის განმავლობაში და წარმოდგენილია პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებულ ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და აღირიცხება კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში. ღია პოზიციები აღირიცხება სამართლიანი საბაზრო ღირებულებით და აღნიშნული შეფასებით გამოწვეული ამონაგები და ზარალი აღიარდება შემოსავალში, ისევე როგორ დახურულ პოზიციებზე რეალიზებული ამონაგები და ზარალი.

კაზინოს თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს წმინდა მოგებებს, ანუ სხვაობას დადებულ ფსონებსა და მომხმარებელთა მოგებებს შორის.

პერიოდის განმავლობაში გაწეული, მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეთების“) და ბონუსების ხარჯები აკლდება ონლაინ ტოტალიზატორის, ონლაინ კაზინოსა და peer-to-peer თამაშების შემოსავალს და წარმოდგენილია წმინდა სახით მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

გაწეულ მომსახურებაზე ფასის გადანაწილება ხდება ფიქსირებული ფასების მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში და მოიცავს ყველა ხარჯს, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება შემოსავლების პროპორციულად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

იჯარები

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა აღიარებულია კომპანიის ბალანსზე შემდეგნაირად:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოიყენოს ძირითადი აქტივი იჯარის ვადის განმავლობაში;
- ვალდებულება იჯარის გადახდის ვალდებულებისათვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

პირველადი აღიარებისას, იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ასევე მოიცავს:

- თანხები მოსალოდნელი უნდა იყოს გადასახდელი ნებისმიერი ნარჩენი ღირებულების გარანტიით;
- კომპანიის სასარგებლოდ მინიჭებული ნებისმიერი შესყიდვის ვარიანტის განხორციელების ფასი, თუ გონივრულად დარწმუნებულია ამ ვარიანტის შეფასება;
- ნებისმიერი ჯარიმა გადასახდელი იჯარის შეწყვეტისათვის, თუ იჯარის ვადა შეფასებულია განხორციელების შეწყვეტის ვარიანტის საფუძველზე.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაწყების თარიღისთვის, კომპანია ზომავს სარგებლობის უფლებას ღირებულებით. სარგებლობის უფლების ღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- გაწეული პირველადი პირდაპირი ხარჯები; და
- ნებისმიერი რეზერვის ოდენობა აღიარებულია, როდესაც კომპანიას ხელშეკრულებით ევალება იჯარით გაცემული აქტივის დემონტაჟი, ამოღება ან აღდგენა

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით თუ, იშვიათად, ითვლება, რომ ეს უფრო მოკლეა ვიდრე იჯარის ვადა.

როდესაც კომპანია ხელახლა ამოწმებს ნებისმიერი ლიზინგის ვადის შეფასებას (რადგან, მაგალითად, იგი ხელახლა აფასებს ლიზინგის მიმღების გაგრძელების ან შეწყვეტის ვარიანტის განხორციელების ალბათობას), ის არეგულირებს იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულებას, რათა ის ასახავდეს გადახდებს გადახდილი ვადის განმავლობაში, რომლებიც დისკონტირებულია განახლებული დისკონტის განაკვეთით. იჯარის ვალდებულების საბალანსო ღირებულება ანალოგიურად გადაისინჯება, როდესაც ხდება სამომავლო იჯარის გადახდების ცვლადი ელემენტების გადასინჯვა, რომელიც დამოკიდებულია განაკვეთსა და ინდექსზე, გარდა დისკონტის განაკვეთისა, რომელიც რჩება უცვლელი. ორივე შემთხვევაში ექვივალენტური კორექტირება ხდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულებასთან, ხოლო გადაფასებული საბალანსო ღირებულება ამორტიზდება დარჩენილი (გადახდილი) იჯარის ვადის განმავლობაში. თუ სარგებლობის უფლების აქტივის საბალანსო ღირებულება ნულოვანია, ნებისმიერი შემდგომი შემცირება აღიარდება მოგებაში-ზარალში.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, ასევე ნებისმიერი პერიოდი, რომელიც დაფარულია იჯარის გახანგრძლივების უფლებით (მათ შორის, ჩვეული ბიზნესის პრაქტიკაში გათვალისწინებული განახლების ვარიანტი), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს, ან ნებისმიერი პერიოდი დაფარულია იჯარის შეწყვეტის უფლებით, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას. კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ჩვეულებრივია, რომ იჯარის განახლების ვარიანტი იგულისხმებოდეს ჩვეული ბიზნეს პრაქტიკის საშუალებით და არა ყველა განახლების ვარიანტი იყოს დოკუმენტირებული იჯარის ხელშეკრულებით. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანია იყენებს აღიარების გათავისუფლებას მოკლევადიანი იჯარისათვის (ანუ იჯარა იჯარის ვადით 12 თვიდან ან ნაკლები დაწყების დღიდან) და დაბალი ღირებულების აქტივების იჯარით. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ხელფასი და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წარმოქმნილი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება.

21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე განვითარებული მოვლენები, რომლებიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ გაშიფრულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოადგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

შპს ლიდერ-ბეთ სლოტი



მმართველობის ანგარიშგება

2021

სარჩევი:

1. კომპანიის შესახებ	34
2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა.....	34
2.2 ბაზრის მიმოხილვა	34
2.3 კომპანიის განვითარება	34
3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები.....	35
3.1 ნებართვები და ლიცენზიები.....	35
3.2 სხვა გადასახადები	35
4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	35
4.1 საბალანსო უწყისი.....	37
4.1.2. ვალდებულებების შესახებ.....	37
4.2 მოგება-ზარალის უწყისი	37
4.3 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები	38
5. კომპანიის ძირითადი რისკები	38
6. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები.....	39

1. კომპანიის შესახებ

შპს „ლიდერ-ბეთ სლოტი“ (შემდგომში „კომპანია“), წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 29 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 439397467.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ონიაშვილის ქ. #1, სართ.1, კომერციული ფართი #5.

კომპანიის წილის მფლობელები არიან:

	<u>31 დეკემბერი 2020</u>	<u>31 დეკემბერი 2021</u>
აკაკი შუბითიძე (პ.ნ.38001004523)	100 %	30 %
ბესიკ ხოკერაშვილი (პ.ნ.01002002626)	0 %	30 %
ქართლოს დიასამიძე (პ.ნ.01006009468)	0 %	40 %

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

2.1 ბიზნეს საქმიანობა და მიზნები

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული თამაშების სისტემუ- ელექტრონული ფორმით მოწყობა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორისა და ონლაინ კაზინოს თამაშების პლატფორმას ინტერნეტ ვებგვერდ - www.lider-bet.com-ის მეშვეობით.

კომპანია აგრეთვე ახორციელებს საქმიანობას მიწის ობიექტებზე, ქ.სამტრედიაში მდებარე სლოტ კლუბისა და ასევე ქ. საჩხერეში არსებული ტოტალიზატორის მეშვეობით.

კომპანიის სტრატეგიული მიზანია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება. კომპანია ორიენტირებულია მუდმივად ახალი პროდუქტების შექმნასა და არსებული პოდუქტების განვითარებაზე, რაც განაპირობებს მის მიმზიდველობას ბაზარზე.

კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებათა ცოდნა და აღნიშნული მოვლენების ანალიზი განსაზღვრავს ბაზარზე მის შემდგომ ქცევას. მნიშვნელოვანია, ასევე მოსალოდნელი/სავარაუდო ცვლილებების წინასწარ განჭვრეტის უნარი, სამომავლო პროცესების ანალიზი და ამ პროცესების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება, რასაც კომპანია წარმატებით ახორციელებს.

2.2 ბაზრის მიმოხილვა

დაარსების დღიდან კომპანიის ოპერაციები შემოიფარგლება საქართველოს ბაზრით, რომელიც თავის მხრივ, ხასიათდება დიდი კონკურენციითა და ზოგადად, საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებებით.

2.3 კომპანიის განვითარება

სწრაფად ცვალებად კონკურენტულ ბიზნეს გარემოში, კომპანია განუწყვეტლივ ცდილობს შეთავაზოს საკუთარ მომხმარებლებს ინოვაციური პროდუქტები და მიდგომები.

გამომდინარე ელექტრონული კომერციის სწრაფი განვითარებიდან, კომპანიისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს:

- არსებულ პროდუქტებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა უწყვეტ რეჟიმში;
- მომხმარებლებთან ეფექტური ორმხრივი კომუნიკაციის დამყარება;
- ფულადი სახსრების მოძრაობის არხების

- გაფართოება;
- არსებული პროდუქციის გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება;
- კომპანიის გაძლიერება კვალიფიციური თანამშრომლებით.

ხსენებული პრიორიტეტები, თავის მხრივ, გულისხმობს თანდართულ რისკებს, რომლის წინაშეც დგას კომპანიის მენეჯმენტი და რომელთა მინიმიზაციაც წარმოადგენს მისსავე ვალდებულებას.

3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები

3.1 ნებართვები და ლიცენზიები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აზარტული თამაშოების მოწყობისათვის საჭიროა შესაბამისი ნებართვების (ლიცენზიების) არსებობა, თუმცა უშუალოდ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობ(ებ)ის ორგანიზებისათვის ცალკეული ნებართვა არ გაიცემა. ამ მხრივ, საკანონმდებლო მოთხოვნას წარმოადგენს რეალური ობიექტის არსებობა და შემოსავლების სამსახურის მიერ კვარტალური ელექტრონული ველის გამოყოფა.

შპს „ლიდერ-ბეთ სლოტს“ მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და ლიცენზია, და ახორციელებს ოპერაციებს მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების ფარგლებში.

3.2 სხვა გადასახადები

კომპანიას, ოპერაციებიდან გამომდინარე, ეკისრება შემდეგი ტიპის გადასახადები:

□ მოგების გადასახადის სპეციალური რეჟიმები

დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორის ფარგლებში მიღებული ფსონები. განაკვეთი შეადგენს აღნიშნული ფსონების 7%-ს;

□ მოგების გადასახადი (15%)

მოგების გადასახადის ახალი, ე.წ. ესტონური მოდელის მიხედვით (მოქმედი 2017 წლის 1 იანვრიდან) დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება.

□ დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი)

დასაბეგრი ოპერაციები:

- 18%-იანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები;
- დღგ-ს ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული ოპერაციები.

□ საშემოსავლო გადასახადი (20%-იანი და 2%-იანი განაკვეთები)

დასაბეგრი ოპერაციები:

- კომპანიისათვის დაქირავებულ თანამშრომელთათვის გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებლები;
- ფიზიკური პირებისათვის, მიღებული მომსახურებ(ებ)ის ფარგლებში გადახდილი ანაზღაურებები და სარგებელი;
- მომხმარებლებზე გაცემული პრიზები და სარგებლები.

□ არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი

კომპანიის კონტრაგენტების წარმომავლობის გათვალისწინებით, შესაბამისი ოპერაციები იბეგრება 5%, 10% ან 15%-იანი განაკვეთით.

□ დივიდენდის საშემოსავლო გადასახადი

დასაბეგრი განაკვეთი: 5% ან 0% (ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ არსებული ხელშეკრულების ფარგლებში);

□ ქონების გადასახადი

დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში და მის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და ა.შ. აღნიშნული გადასახადი, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, იანგარიშება როგორც საშუალო წლიური საბალანსო ღირებულების არა უმეტეს 1%.

ზემოთ მოცემული ყოველი ტიპის გადასახადის დარიცხვა / დაკავება / ბიუჯეტის სასარგებლოს გადახდა ხორციელდება მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

ამავდროულად საყურადღებოა საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები:

სიახლეები კანონებსა და რეგულაციებში

2022 წლის იანვარში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა აზარტული თამაშების ახალი რეგულაციები, მათ შორის გადასახადებისა და ასაკობრივი ზღვარის გაზრდასთან, რეკლამირების შეზღუდვასთან, ასევე იმ პირთა ცენტრალური სიის შემოღებასთან დაკავშირებით, რომელთაც ეკრძალებათ თამაში და მომხმარებელთა სავალდებულო ვერიფიკაციასთან დაკავშირებით.

საგადასახადო ცვლილებები ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვარს, ხოლო დანარჩენი ცვლილებები ძალაში შევიდა 2022 წლის 1 მარტს და არის შემდეგი:

რეკლამა

აზარტული თამაშების ორგანიზატორებს ეკრძალებათ რაიმე სახის რეკლამის განთავსება, მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების, ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით და გარე რეკლამა. ამ კანონის გამონაკლისები არის რეკლამები, რომლებიც:

–რეკლამა, რომელიც ადგილობრივად ლიცენზირებული აზარტული თამაშების ოპერატორების ვებგვერდზე არის განთავსებული;

–რეკლამა, რომელიც განთავსებულია სპორტული ღონისძიების ჩატარების ადგილზე, გარკვეული პირობებით;

–რეკლამა, რომელიც ვიზუალურად განთავსებულია ორგანიზატორის ე.წ. მიწის ობიექტთან, რომელიც იზღუდება მაქსიმუმ 10 კვ.მ. სარეკლამო სივრცით;

–რეკლამა, რომელიც განთავსებულია საერთაშორისო აეროპორტებსა და სასაზღვრო საბაჟო გამშვებ პუნქტებზე;

–რეკლამა, რომელიც უკავშირდება საპრიზო გათამაშებებს და რომლის განთავსება ნებადართულია მიწის სამორინეების შიდა პერიმეტრში (მაგ. ტოტალიზატორები, კაზინოები, სათამაშო აპარატების სალონები).

ასაკობრივი ზღვარი

25 წლამდე საქართველოს მოქალაქეებს აზარტულ თამაშებში მონაწილეობა ეკრძალებათ. ზემოაღნიშნული შეზღუდვები არ ვრცელდება 18 წელზე მეტი ასაკის მქონე უცხოელებზე.

პირთა სია, რომელთაც აზარტული თამაშები ეკრძალებათ

განისაზღვრა ის პირები, რომელთაც აზარტული თამაშები ეკრძალებათ და ასევე ის პირები, რომლებიც უნდა იყვნენ შეტანილი აღნიშნულ პირთა სიაში და მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციებში,

მარეგულირებელ ორგანოებში, საქართველოს ეროვნულ ბანკში დასაქმებულ პირებს და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის წევრებს. აზარტულ თამაშებში მონაწილეობა ასევე ეკრძალებათ დამოკიდებულ პირთა სიაში შეყვანილ პირებს, რომელიც შეიცავს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა მონაცემებს.

წლიური ვერიფიკაცია

ოპერატორებს მოეთხოვებათ ყოველწლიურად გადაამოწმონ მოთამაშეები;

გადასახადები

2022 წლის 01 იანვრიდან აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში, საქმიანობის ამ ნაწილში კომპანიის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მოთამაშეებისაგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა. კომპანიის მიერ აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან მიღებული დასაბეგრი მოგება იბეგრება 10 პროცენტით. მოგების გადასახადი გაუქმებულია ონლაინ სამორინეს მოგების განაწილებაზე;

2022 წლის 01 იანვრიდან სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ და მომგებიან (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობაში მონაწილე პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის მიერ სისტემურ ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა. შესაბამისად კომპანია მოთამაშის მიერ სისტემურ ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხიდან აკავებს 2 პროცენტს და რიცხავს ბიუჯეტში.

4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

4.1 საბალანსო უწყისი

ათასი ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი აქტივები		13,827	2,471
მოკლევადიანი აქტივები		7,151	19,902
გაუნაწილებელი მოგება		2,717	14,505
გრძელვადიანი ვალდებულებები		1,427	2,040
მოკლევადიანი ვალდებულებები		16,835	5,828

4.1.2. ვალდებულებების შესახებ

- ვალდებულებები კლიენტების მიმართ: რომელთა დაკმაყოფილება შეიძლება, აუცილებელი გახდეს ნებისმიერ დროს.
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები: კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებების დაფარვა ხდება ხელშეკრულებით პირობების შესაბამისად, და განსაზღვრულ ვადებში, თუმცა არა უგვიანეს ვალდებულების წარმოშობიდან 6 თვისა.

4.2 მოგება-ზარალის უწყისი

ათასი ლარი	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი		114,287	88,860
საოპერაციო ხარჯები		(91,204)	(60,409)
პერსონალის სარგებელი		(6,860)	(5,840)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		19,567	21,964
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		13,846	17,612

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ნეტო რიცხვად.

4.3 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია ახორციელებს საქმიანობას კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც გამოიხატება არაერთ საქველმოქმედო აქციაში კომპანიის მონაწილეობით. იგი ახორციელებს თავის საქმიანობას გამჭვირვალედ, ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით.

თანამშრომელთა კეთილდღეობა

კომპანია მუდმივად ცდილობს, შეუქმნას მის თანამშრომლებს უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემო და ამავდროულად, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის კორპორატიული სარგებლები.

სავაჭრო ურთიერთობები

კომპანიისათვის არა მონეტარული მნიშვნელობის მქონე საკვანძო საკითხს წარმოადგენს სავაჭრო ურთიერთობები. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს, პროფესიონალური სავაჭრო ურთიერთობები დაამყაროს მხოლოდ ცნობად და ბაზარზე დადებითი რეპუტაციის მქონე კონტრაგენტებთან, რაც ხელს უწყობს მიღებული საქონლისა თუ მომსახურების უნაკლო ფორმით მიღებას, ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებასა და კომპანიის წინაშე არსებული სხვადასხვა სახის რისკების მინიმიზაციას.

5. კომპანიის ძირითადი რისკები

კომპანიის სპეციფიკისა და სათანადო ბიზნესის ინდუსტრიის მახასიათებლებიდან გამომდინარე, შპს „ლიდერ-ბეთ სლოტის“ მენეჯმენტი, რომელსაც აქვს რისკების მართვის პროცედურების იმპლემენტაციისა და მისი შემდგომი ზედამხედველობის პასუხისმგებლობა, აცნობიერებს კომპანიის წინაშე არსებულ რელევანტურ რისკებს, და ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებზე მუდმივი დაკვირვებითა და მის ხელთ არსებული სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული რისკების მინიმიზაციას. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანი როლი უკავიათ კომპანიის კვალიფიციურ თანამშრომლებს, რომლებიც აცნობიერებენ დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს და რომელთა გადამზადებაც, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

კომპანიის წინაშე არსებული საკვანძო რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად მიმართულებებად:

□ საკრედიტო რისკი

გამომდინარე კომპანიის სპეციფიკისა, რაც გულისხმობს დიდი რაოდენობით ფულადი აქტივების არსებობას, არსებობს რისკი იმისა, რომ მეორე მხარე სათანადოდ ვერ შეასრულებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს.

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის, კომპანიის მენეჯმენტი ახდენს ფულადი რესურსების დივერსიფიცირებას მაღალი რეპუტაციისა და რეიტინგის მქონე კომერციულ საბანკო დაწესებულებებში და აკვირდება ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს, რაც, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს სწრაფი რეაგირების საშუალებას.

□ ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ბიზნეს პროცესებიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ ჯეროვნად შეასრულოს მომხმარებლებისა და სერვის პროვაიდერების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის კომპანიის მენეჯმენტი იყენებს სხვადასხვა ბერკეტებს, მათ შორის წარსული შედეგების ანალიზს, ფულადი სახსრების დივერსიფიკაციას და მონიტორინგს, ლიმიტების დაწესებას და ა.შ. თითოეულ მოცემული პუნქტზე დაკვირვება და ანალიზი მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში, რაც იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების დროულად შეტანის შესაძლებლობას.

□ სავალუტო რისკი

ძირითადად, კომპანია სავალუტო რისკის წინაშე დგას იმ პოზიციებზე, რომელთა საოპერაციო ვალუტაც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან (ქართული ლარი). ძირითად ვალუტებს, რომლებშიც დენომინირებულია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები, წარმოადგენს აშშ დოლარი (USD) და ევრო (EUR).

გამომდინარე იქიდან, რომ სათამაშო ბიზნესის ქართული ბაზარი დღეის მდგომარეობით არ გამოირჩევა მომწოდებელთა მრავალფეროვნებით, პროდუქტების დიდი ნაწილის მოწოდება (და შესაბამისად, შემდგომი ანგარიშსწორება) ხდება უცხოელი კონტრაგენტების მიერ.

იმის გათვალისწინებით, რომ სავალუტო კურსების ცვალებადობა წარმოადგენს ძირითად მაკროეკონომიკურ ბერკეტს, რომელზე გავლენის მოხდენაც კომპანიის შესაძლებლობებში არ შედის, შეუძლებელია რისკის ნულოვან ნიშნულოვანდე შემცირება. თუმცა მენეჯმენტი, უცხოურ ვალუტაზე ხელმისაწვდომობით, მათი სათანადო გადანაწილებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების პერიოდული გადახედვითა და გაუმჯობესებით, ახერხებს ამ მხრივ გააჩნდეს მყარი პოზიცია.

□ IT უსაფრთხოებისა და რეპუტაციის რისკი

ონლაინ სათამაშო ბიზნესი, როგორც წესი, ხასიათდება მომხმარებელთა ლოიალობის მაღალი სენსიტიურობით. შესაბამისად, განსაკუთრებული როლი ენიჭება IT მიმართულებით უსაფრთხოების ზომების უწყვეტ გაუმჯობესებას.

კომპანიის მენეჯმენტი, მუდმივი ზედამხედველობით, კვალიფიციური თანამშრომლებითა და საჭირო აღჭურვილობების საშუალებით, იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ვებ-გვერდზე ვიზიტი, თითოეული მომხმარებლისათვის, იყოს მაქსიმალურად უსაფრთხო და ხასიათდებოდეს შეფერხებების მინიმალური რაოდენობით.

6. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

შპს ლიდერ-ბეთ სლოტის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 18 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:

აკაკი შუბითიძე

შპს ლიდერ-ბეთ სლოტის მმართველობის ანგარიშგება

□ ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ბიზნეს პროცესებიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ ჯეროვნად შეასრულოს მომხმარებლებისა და სერვის პროვაიდერების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის კომპანიის მენეჯმენტი იყენებს სხვადასხვა ბერკეტებს, მათ შორის წარსული შედეგების ანალიზს, ფულადი სახსრების დივერსიფიკაციას და მონიტორინგს, ლიმიტების დაწესებას და ა.შ. თითოეულ მოცემული პუნქტზე დაკვირვება და ანალიზი მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში, რაც იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების დროულად შეტანის შესაძლებლობას.

□ სავალუტო რისკი

ძირითადად, კომპანია სავალუტო რისკის წინაშე დგას იმ პოზიციებზე, რომელთა საოპერაციო ვალუტაც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან (ქართული ლარი). ძირითად ვალუტებს, რომლებშიც დენომინირებულია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები, წარმოადგენს აშშ დოლარი (USD) და ევრო (EUR). გამომდინარე იქიდან, რომ სათანადო ბიზნესის ქართული ბაზარი დღეის მდგომარეობით არ გამოირჩევა მომწოდებელთა მრავალფეროვნებით, პროდუქტების დიდი ნაწილის მოწოდება (და შესაბამისად, შემდგომი ანგარიშსწორება) ხდება უცხოელი კონტრაგენტების მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ სავალუტო კურსების ცვალებადობა წარმოადგენს ძირითად მაკროეკონომიკურ ბერკეტს, რომელზე გავლენის მოხდენაც კომპანიის შესაძლებლობებში არ შედის, შეუძლებელია რისკის ნულოვან ნიშნულოვანდე შემცირება. თუმცა მენეჯმენტი, უცხოურ ვალუტაზე ხელმისაწვდომობით, მათი სათანადო გადანაწილებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების პერიოდული გადახედვითა და გაუმჯობესებით, ახერხებს ამ მხრივ გააჩნდეს მყარი პოზიცია.

□ IT უსაფრთხოებისა და რეპუტაციის რისკი

ონლაინ სათანადო ბიზნესი, როგორც წესი, ხასიათდება მომხმარებელთა ლოიალობის მაღალი სენსიტიურობით. შესაბამისად, განსაკუთრებული როლი ენიჭება IT მიმართულებით უსაფრთხოების ზომების უწყვეტ გაუმჯობესებას.

კომპანიის მენეჯმენტი, მუდმივი ზედამხედველობით, კვალიფიციური თანამშრომლებითა და საჭირო აღჭურვილობების საშუალებით, იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ვებ-გვერდზე ვიზიტი, თითოეული მომხმარებლისათვის, იყოს მაქსიმალურად უსაფრთხო და ხასიათდებოდეს შეფერხებების მინიმალური რაოდენობით.

6. ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

შპს ლიდერ-ბეთ სლოტის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელების მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 18 ნოემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი:
აკაკი შუბითიძე

